საქმე დს-შ/10-13 **16 ოქტომბერი 2013 წელი**

ქ. თბილისი

მიღების ადგილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:

მაია ვაჩაძე (თავმჯდომარე)
მოსამართლეები: ვასილ როინიშვილი,
ნუგზარ სხირტლაძე (მომხსენებელი მოსამართლე)

სხდომის მდივანი - ქეთევან ბერეკაშვილი

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ა. ხ-ი.

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, წარმომადგენელი - თ.ხ-ი.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2013 წლის 2 თებერვლის №066/12 გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 6.07.2012წ. გადაწყვეტილებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადების საფუძველზე, დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, ადვოკატ ა. ხ-ს მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა, რასაც საფუძვლად დაედო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 7.03.2012წ. განჩინებით, აპელანტ მ. ჩ-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 14.11.2011წ. გადაწყვეტილება. თბილისის სააპელაციო სასამართლომ 6.03.2012წ. საქმეზე არსებითად იმსჯელა, გადაწყვეტილების

სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება კი ერთი დღით გადადო, რაც განპირობებული იყო მხარეთა შორის მორიგების წინაპირობის არსებობით. 7.03.2012წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას არ ესწრებოდა აპელანტის წარმომადგენელი - ა. ხ.. აპელანტმა სასამართლოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მისი წარმომადგენლისაგან მიღებული ინფორმაციით 7.03.2012წ. სასამართლომ გამოაცხადა განჩინების სარეზოლუციო ნაწილი, რითაც აპელანტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ხოლო შემდგომ ე.წ. „ზეწოლის გამო“ მოსამართლემ გადაწყვეტილება შეცვალა. მოცემულ სამოქალაქო საქმეზე 1.05.2012წ. სხდომა გაიმართა იმ მიზნით, რომ სასამართლოს აპელანტისათვის საქმის ირგვლივ დეტალური ინფორმაცია მიეწოდებინა, რაც აღწერილია სხდომის ოქმში.

ადვოკატ ა. ხ.ს განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოში აპელანტ მ. ჩ-ს ინტერესები დაიცვა ორდერის საფუძველზე, რადგან აპელანტის წარმომადგენელებს არ ჰქონდათ სამოქალაქო საქმეზე წარმომადგენლობის განხორციელების უფლება. ადვოკატის განცხადებით, მან დროულად ჩაიბარა და გადასცა აპელანტის წარმომადგენლებს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და დასაბუთებული განჩნება აპელანტ მ. ჩ-სთვის გადასაცემად. ა. ხ. ასევე აღნიშნავს, რომ მას აპელანტთან არანაირი კავშირი არ ჰქონია, ასევე 1.05.2012წ. სასამართლო სხდომა უკანონოდ ჩატარდა და არ ემსახურებოდა საპროცესო მიზნებს. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აპელანტისათვის საქმის ირგვლივ დეტალური ინფორმაციის მიწოდების მიზნით სასამართლო სხდომის ჩატარებას.

ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის დასკვნით, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა ა. ხ-მ 6.03.2012წ. თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარმოადგინა მ. ჩ-ს ინტერესები ისე, რომ მასთან ურთიერთობა არ ჰქოდა, ადგილი ექნება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის დარღვევას: „ადვოკატი თავის კლიენტთან ურთიერთობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა“. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა ა. მ, მ. ჩ-ს ადვოკატების თხოვნით, წარმოადგინა მ. ჩ-ს ინტერესები თბილისის სააპელაციო სასამართლოში და მონაწილეობა მიიღო 6.03.2012წ. სხდომაში, როგორც აპელანტის წარმომადგენელმა. საპროცესო კოლეგიის მოსაზრებით, ადვოკატი ა. ხ. მ. ჩ-ს ინტერესების წარმოდგენისას დაეყრდნო მისი ადვოკატების პოზიციას, ა. ხ-სთვის წარმომადგენლობის გადანდობის თაობაზე და სავარაუდოდ, არ შეუმოწმებია, ჰქონდათ თუ არა მათ მ. ჩ-საგან აღნიშნული უფლებამოსილება მინიჭებული.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 02.02.13წ. გადაწყვეტილებით ადვოკატი ა. ხ. ცნობილ იქნა ბრალეულად

„ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ დარღვევაში, რისთვისაც მას „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი - გაფრთხილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

აპელანტ მ. ჩ-ს წარმომადგენელებს, რომლებიც მის ინტერესებს იცავდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოში, არ ჰქონდათ სააპელაციო სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე წარმომადგენლობის უფლებამოსილება, კერძოდ, დ. ჩ-ს შეწყვეტილი ჰქონდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება, ხოლო გ. ფ. ადვოკატთა ასოციაციის ერთიან სიაში ირიცხება, როგორც სისხლის სამართლის სპეციალისტი. ადვოკატ ა. ხ-მ აპელანტ მ. ჩ-ს ინტერესები უშუალოდ მასთან შეთანხმების გარეშე, აპელანტის წარმომადგენლების მიერ გაცემული ორდერის საფუძველზე წარმოადგინა სააპელაციო სასამართლოში. ადვოკატ ა. ხ-ს სააპელაციო სასამართლოში მ. ჩ-ს ინტერესების წარმოდგენისას არ ჰქონდა კლიენტთან კომუნიკაცია და მასთან ურთიერთობას ახორციელებდა დ. ჩ-ს საშუალებით.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ა. ხ-ს მიერ დაირღვა „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმად, „ადვოკატი თავის კლიენტთან ურთიერთობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა“. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ სხვა ადვოკატის კლიენტის ინტერესების წარმოდგენა მხოლოდ ადვოკატთან შეთანხმების საფუძველზე, იმ ფარგლების გაცდენით, რაზეც მინდობილობაა გაცემული, არ შეიძლება ჩაითვალოს კლიენტთან შეთანხმებისათვის საკმარის საფუძვლად, რადგან, მოცემულ შემთხვევაში, კლიენტის ნება არ არის ცალსახა და ნათელი. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატმა კლიენტის ნების საფუძველზე დაიწყოს საქმიანობა. საადვოკატო საქმიანობის დაწყების წესის დარღვევა ქმნის ისეთი პრინციპების დარღვევის საფრთხეს, როგორიცაა ნდობა და კონფიდენციალურობა. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატმა ა. ხ-მ მ. ჩ-ს ინტერესები თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარმოადგინა იმგვარად, რომ უშუალოდ კლიენტთან არ ჰქონია შეთანხმება წარმომადგენლობის თაობაზე.

ეთიკის კომისია ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 711-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, რწმუნებულმა დავალება პირადად უნდა შეასრულოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას ნება დართეს გადაენდო იგი მესამე პირისათვის. მოცემული ნორმის შესაბამისად,

რწმუნებულს შეუძლია, რომ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად გადასცეს სხვა პირს. დ. ჩ-ს შეწყვეტილი ჰქონდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება, შესაბამისად, მას არ ჰქონდა სააპელაციო სასამართლოში წარმომადგენლობის უფლება, ასევე გ. ფ. არის ადვოკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით და მასაც არ გააჩნდა სააპელაციო სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე წარმომადგენლობის უფლება. შესაბამისად, აპელანტის წარმომადგენლები ადვოკატ ა. ხ-ს ვერ გადასცემდნენ იმ უფლებას, რაც მათ კანონის საფუძველზე არ გააჩნდათ. ამდენად, ადვოკატმა ა. ხ-მ არაუფლებამოსილ პირებთან შეთანხმების საფუძველზე მიიღო მონაწილეობა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას. საქმეში მისი ჩართვა ფორმალური ხასიათის იყო და მიზნად ისახავდა აპელანტის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თავიდან აცილებას.

მითითებული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა ა. ხ-მ, რომელმაც მოითხოვა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 02.02.13წ. გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი საფუძვლით:

საჩივრის ავტორის მითითებით, ეთიკის კომისიის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას არ იქნა გათვალისწინებული ადვოკატის მოსაზრებები და მოთხოვნები, კომისიას არ ჰქონდა შესწავლილი საქმის მასალები, არ მიეცა შეფასება, როგორც საქმეში არსებულ მასალებს, ისე ადვოკატის პოზიციას. ეთიკის კომისია ჩაერია და ეჭვი შეიტანა სასამართლოს კომპეტენციაში, რაც ეთიკის კომისიის არაობიექტურობაზე და არაკომპეტენტურობაზე მიუთითებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მის მიმართ დისციპლინური დევნის შეწყვეტა.

სადისციპლინო პალატის სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი თ. ხ. არ დაეთანხმა წარმოდგენილ საჩივარს და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადვოკატ ა. ხ-ს საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 02.02.13წ. გადაწყვეტილება და

საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების შეწყეტის შესახებ, შემდეგ გარემოებათა გამო:

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივარზე (მიმართვაზე) დისციპლინური საქმის წარმოება არის ინკვიზიციური ხასიათის, კერძოდ, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-17, 27-ე მუხლების საფუძველზე ეთიკის კომისია უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები და საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია, შეისწავლოს მხარეთა მიერ წარმოდგენილი დამატებითი მტკიცებულებები, ჩამოართვას მხარეებს წერილობითი ახსნა-განმარტებები საქმის გარემოებებთან დაკავშირებით და ისე მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის ან აღძვრაზე უარის თქმის შესახებ. ამასთანავე, მიუხედავად ეთიკის კომისიის მიერ საქმის წარმოების ინკვიზიციური ხასიათისა, თვით საჩივარი (მიმართვა) არის დისპოზიციური ბუნების, საქმე აღიძვრის საჩივრის (მიმართვის) საფუძველზე და წარმოება მიმდინარეობს მის ფარგლებში. საქმისწარმოების ინკვიზიციური ხასიათი ეთიკის კომისიას არ ანიჭებს უფლებამოსილებას შეცვალოს საჩივრის (მიმართვის) შინაარსი საჩივრის ავტორის თანხმობის გარეშე, ეთიკის კომისიას უფლება არა აქვს გასცდეს დისციპლინური ბრალდების ფარგლებს (ბრალდების ფაქტობრივ მხარეს), ასევე კომისიის სხდომაზე არსებითი მსჯელობის საგნად აქციოს ის ფაქტები და გარემოებები, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება ადვოკატისათვის წაყენებულ დისციპლინურ ბრალდებას ანდა ადვოკატს დააკისროს პასუხისმგებლობა ისეთი დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის, რომლის გამოც დისციპლინური ბრალდება მისთვის არ წაუყენებიათ. ამდენად, ერთის მხრივ, ეთიკის კომისიის საქმიანობა გულისხმობს მის აქტივიზმს, ხოლო მეორე მხრივ, ეთიკის კომისია, მიუხედავად მისი აქტიური როლისა, შებოჭილია საჩივრის მოთხოვნის ფარგლებით. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს პასუხს საჩივრის (მიმართვის) მოთხოვნაზე, იგი უფლებამოსილია დააკმაყოფილოს საჩივარი მთლიანად ან ნაწილობრივ, მაგრამ უფლება არა აქვს საჩივრის ავტორს მიაკუთვნოს ის, რაც მას არ მოუთხოვია, საჩივრის ფარგლების გაცდენით წაუყენოს ადვოკატს პრეტენზია იმ საკითხში, რომელშიც მიმართვის ავტორი თავის წარმომადგენელს არ ედავება. მოცემულ შემთხვევაში არც სასამართლოს და არც მარწმუნებელს სადავოდ არ გაუხდია ადვოკატის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარმომადგენლობის გაწევა, აღნიშნულის მიუხედავად ეთიკის კომისიამ, ფაქტობრივად საჩივრის საუარესოდ შემობრუნებით, იმსჯელა ამ საკითხზე. მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის მოსაზრება ადვოკატთა ასოციაციის წევრებისათვის სასამართლოში ადვოკატის წარმომადგენლობის გაწევის და კლიენტთან ურთიერთობის საკითხის აქტუალობის შესახებ, არ ქმნის ეთიკის კომისიისათვის მიმართვის ფარგლების გაცდენის და ადვოკატის მიმართ ისეთ საკითხზე

სადისციპლინო ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას, რომელიც განმცხადებლის მიერ არ დასმულა.

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-7 მუხლით დადგენილია საჩივრის (მიმართვის) წარდგენის ფორმა და რეკვიზიტები, რაც მოცემულ შემთხვევაში, დაცული არ არის. საჩივრის (მიმართვის) სათანადო ფორმის დაცვა საჩივრის წარდგენის მნიშვნელოვანი პირობათაგანია. მითითებული ნორმის თანახმად, საჩივარი სავალდებულო წესით შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და უნდა პასუხობდეს აღნიშნული დებულებით დადგენილ მოთხოვნებს, შეიცავდეს დებულებაში მითითებულ რეკვიზიტებს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ეთიკის კომისიაში წარდგენილ სხდომის მდივნის საჩივარში (მიმართვაში), მითითებული არ არის იმ ადვოკატის ვინაობა, რომლის წინააღმდეგაც საჩივარია წარდგენილი, მიმართვა ასევე არ შეიცავს განმცხადებლის მოთხოვნას და გარემოებებს, რომელსაც ეფუძნება აღნიშნული მოთხოვნა. სადისციპლინო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ეთიკის კომისიაში წარდგენილ მიმართვაში აღწერილია მხოლოდ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის სხდომის ოქმებისა და მიღებული განჩინების შესახებ, ასევე, მითითებულია, რომ აპელანტს მისმა წარმომადგენლებმა აცნობეს ცრუ ინფორმაცია გადაწყვეტილების არასწორი შედეგის შესახებ, მაგრამ მასში არ არის მითითებული, თუ რომელმა ადვოკატმა შეატყობინა მიღებული გადაწყვეტილების შედეგი, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ რომელი ნორმა იქნა დარღვეული მის მიერ და რა გარემოებებს დაეყრდნო საჩივრის ავტორი მიმართვის წარდგენისას. ეთიკის კომისიის 06.07.12წ. №066/12 გადაწყვეტილებაში დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე დაკმაყოფილდა საჩივრის ავტორის მოთხოვნა და ადვოკატ ა. ხ-ს მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა საკითხზე, რომელიც მიმართვის ავტორს არ დაუსვამს. სააპელაციო სასამართლომ დაუშვა ადვოკატი ა. ხ. პროცესზე წარმომადგენლობითი ფუნქციების განსახორციელებლად, სასამართლოს ეჭვქვეშ არ დაუყენებია ადვოკატის მიერ წარმომადგენლობითი ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობა, მიუხედავად ამისა, ეთიკის კომისიამ დისციპლინური დევნა აღძრა არა იმ საკითხზე, რომელიც დასმული იყო მიმართვაში (წარმომადგენლის მიერ მარწმუნებლისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება სააპელაციო სასამართლოს მიერ 07.03.12წ. გამოცხადებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილის შესახებ), არამედ საკითხზე, რომელიც სასამართლოს მიმართვაში არ დასმულა (ადვოკატის მიერ კლიენტის წარმომადგენლიბის უფლებამოსილების განხორციელების, კლიენტსა და ადვოკატს შორის კომუნიკაციის საკითხზე, უშუალოდ კლიენტთან წარმომადგემლობის თაობაზე შეთანხმების არსებობაზე), ამასთანავე, 06.07.12წ. გაადწყვეტილება შეიცავს მითითებას ეთიკის კომისიის ისეთ გადაწყვეტილებაზე (25.07.12წ. საქმე №096/11), რომელიც დევნის

აღძვრის თაობაზე 06.07.12წ. გადაწყვეტილების გამოტანის დროს ჯერ არ იყო მიღებული, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი უთითებს ადვოკატ ე. ჯ-ს მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმის შესაძლო დარღვევაზე მაშინ, როდესაც ხსენებულ ადვოკატს საქმეში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღია. „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 27-ე მუხლით განსაზღვრულია ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის მიერ დისციპლინური საქმის წარმოების თავისებურებები, კერძოდ, ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საპროცესო კოლეგია დისციპლინური საქმის წარმოებისას: ა) შეისწავლის საჩივარს (მიმართვას) და მასზე დართულ საქმის მასალებს...“. მოცემულ შემთხვევაში ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საჩივარი (მიმართვა) და დისციპლინური დევნა აღძრა ადვოკატ ა. ხ-ს მიმართ, რომელიც საერთოდ არ იყო მითითებული საჩივარში, ამასთანავე არ დასტურდება ადვოკატ ა. ხ-ს მიერ აპელანტ მ. ჩ-სათვის გამოცხადებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შესახებ არასწორი ინფორმაციის მიწოდება. ეთიკის კომისია გასცდა საჩივრის მოთხოვნას და ადვოკატის მიმართ გამოიყენა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევისათვის, რომლის თანახმად, „ადვოკატი თავის კლიენტთან ურთიერთობას იწყებს კლიენტთან ერთიერთშეთანხმების საფუძველზე, ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა“. სადისციპლინო პალატა თვლის, რომ ეთიკის კომისია გასცდა თავისი უფლებამოსილების ფარგლებს და დაარღვია დებულების 27-ე მუხლის მოთხოვნა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 8.06.12წ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის სხდომის მდივანმა ქ. ფ-მ მიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას ადვოკატის მიერ „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ შესაძლო დარღვევაზე შემდგომი რეაგირებისთვის. სხდომის მდივანმა მიმართვას თან დაურთო სასამართლო სხდომის ოქმები და აღნიშნა, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოება აღწერილი იყო 1.05.12წ. სხდომის ოქმში, რომელიც გაიმართა მხოლოდ იმ მიზნით, რომ სასამართლოს აპელანტისათვის საქმის ირგვლივ დეტალური ინფორმაცია მიეწოდებინა.

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის თანახმად, დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა; ბ) ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ

დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზიო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხდომის მდივნის მიმართვა არ წარმოადგენს ზემოაღნიშნული დებულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველს, რამდენადაც ამავე მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად, პროცესის მწარმოებელ ორგანოს შეუძლია ეთიკის კომისიას მიმართოს, ხოლო სადისციპლინო პალატის განმარტებით, პროცესის მწარმოებელ ორგანოს წარმოადგენს სასამართლო, სასამართლოში პროცესს წარმართავს და მართლმსაჯულებას ახორციელებს მოსამართლე (მოსამართლეები) და არა სხდომის მდივანი. ამდენად, ამ უკანასკნელის მიმართვა არ ქმნის დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველს. „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის თანახმად, სხდომის მდივნის მიმართვა არსებითად მის განხილვაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა, ვინაიდან ამავე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ „..საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არა აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად“.

ამდენად, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორის - ა. ხ-ს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, დისციპლინური სამართალწარმოება მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს, შესაბამისად, უნდა გაუქმდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის №066/12 გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სადისციპლინო პალატა იღებს გადაწყვეტილებას სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების შესახებ, თუ საკითხი ეხება ამ კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს. ამავე კანონის 72-ე მუხლი ითვალისწინებს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმებას, სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური პასუხისმგებლობის უკანონოდ დაკისრების, დისციპლინური სახდელის ან დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების უკანონო გამოყენების შემთხვევაში. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმებისთანავე სადისციპლინო პალატა უფლებამოსილია მიიღოს ამ კანონის 48-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, იმავე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გარდა. ამდენად, სადისციპლინო პალატა უფლებამოსილია, ამავე კანონის 48-ე მუხლის

პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიიღოს გადაწყვეტილება დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა ,,საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ„ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის „გ“ პუნქტით, 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით (კანონის ანალოგია) და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ ა. ხ-ს საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. შეწყდეს ადვოკატ ა. ხ-ს მიმართ დისციპლინური საქმის №დს-შ/10-13 წარმოება; გაუქმდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2013 წლის 2 თებერვლის №066/12 გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილების ასლები გადაეგზავნოთ მხარეებს;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება;

თავმჯდომარე: /მაია ვაჩაძე/

მოსამართლეები: /ვასილ როინიშვილი/

/ნუგზარ სხირტლაძე/